τSRლოგიკის ალბათური გაფართოება

ლალი ტიბუა

ხელოვნური ინტელექტის დასაბამიდან, ეგრედ წოდებული 'გონებრივი' ამოცანების ამოსახსნელად დამოუკიდებლად გამოიყენებოდა ლოგიკური და ალბათური მეთოდები. ალბათობის თეორია პასუხობს გაურკვევლობით გამოწვეულ გამოწვევებს, მაშინ როცა, ლოგიკა უფრო მეტად მოსახერხებელია სრულყოფილი ცოდნის დასაბუთებისათვის. მნიშვნელოვანი კვლევები მიეძღვნა ლოგიკური და ალბათური მეთოდების ერთ ჩარჩოში კომბინაციას, რამაც გამოიწვია ლოგიკურ-ალბათური ფორმალიზმებისა და პროგრამირების სისტემების შექმნა.

მოხსენებაში განხილული იქნება τSR ლოგიკის ალბათური გაფართოება. კერძოდ, განსაზღვრულია$P\tau SR$ ლოგიკის შესაბამისი ერბრანის უნივერსუმი, ერბრანის ბაზისი, ერბრანის ინტერპრენტაცია და დამტკიცებულია თეორემა.

თეორემა. $P\tau SR$-ლოგიკის ფორმულა წინააღმდეგობრივია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა იგი მცდარია ყველა შესაძლო $P\tau SR$ ინტერპრეტაციაში.